ПРОЛЕТАРИЈАНЕБИ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 181 (18423) ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 6 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 1982 ᲬᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

ᲡᲙᲙᲨ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲯᲘᲚᲓᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲐᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲘᲗ

ᲓᲘᲓᲘ ᲣᲤᲐᲡᲚᲔᲑᲐ ᲒᲕᲐᲕᲐᲦᲚᲔᲑᲡ...

ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ

ᲜᲐᲤᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲘᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ ᲗᲘᲗᲝᲗᲝᲣᲚᲘ ᲤᲣᲠᲘᲓᲐᲜ 200 ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲛᲔᲢ ᲠᲫᲔᲚ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ. ᲜᲐᲮᲘᲠᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲐᲜ 69 ᲡᲣᲚᲘᲗ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმმა კიდევ ერთხელ ნათლად გამოკვეთა ის აზრი, რომ სოფლის მეურნეობაში წარმოების ზრდის ბედი ბევრად არის დამოკიდებული რეზერვების გამოვლინებასა და მათ გონივრულ გამოყენებაზე. პლენუმზე იმასაც გაესვა ხაზი, რომ სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის კიდევ უფრო აქტიური გარჯა, პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმაა საჭირო. წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ ამინდის პირობები. რათა ყოველგვარ ვითარებაში შევძლოთ მოსავლიანობის გაზრდა.

ჩვენ, ნაფარეულელმა მშრომელებმა რეზერვების ამოქმედება იმით დავიწყეთ, რომ დავამუშავეთ აუთვისებელი მიწები და საშემოდგომო კულტურები 90-ის ნაცვლად დავთესეთ 121 ჰექტარზე, საიდანაც, სტიქიური უბედურების მიუხედავად, საგეგმო 1990-ის ნაცვლად 2600 ცენტნერი მარცვლეული მივიღეთ.

ამავე გზით გამოძებნილმა რეზერვებმა საშუალება მოგვცა სამარცვლე სიმინდი 10-ის ნაცვლად 54 ჰექტარზე დაგვთესა. აქედანაც 2000 ცენტნერზე მეტ სიმინდს ველოდებით.

რეზერვების გამოყენებამ ხელი შეგვიწყო მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებაში. საგეგმოზე ორჯერ მეტი მოვიმარაგეთ სენაჟი და ნამჯა. 570 ტონის ნაცვლად 700 ტონაზე მეტ სიმინდს დავასილოსებთ. საგეგმოზე მეტი გვაქვს საკვები ძირხვენებიც. ეს საშუალებას მოგვცემს მეცხოველეობაში სულადობა გავზარდოთ 69-ით (პირობით ძროხაზე გადაანგარიშებით). ამ დარგის განვითარებისათვის გადადგმულმა პრაქტიკულმა ნაბიჯებმა უკვე გარკვეული შედეგი მოგვცა. შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით 100 ცენტნერით მეტი რძე ვაწარმოეთ. 127 ცენტნერი ხორცის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდეთ 148 ცენტნერი. ამასთან გაიზარდა პირუტყვის სულადობაც.

ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ დაბმხარე პირადი მეურნეობების სიკეთეს. კოოპერირებაში ჩაბმული გვყავს მეურნეობის მშრომელთა ერთი მესამედი. მათ მიეცათ გოჭები და ხბორები; შესაძლებლობის ფარგლებში მივყიდეთ კომბინირებული საკვები; გამოეყოთ 40 ჰექტარი საძოვარი და საზოგადოებრივი მეურნეობისათვის გამოუყენებელი 12 ჰექტარი ფარობი, საიდანაც მიღებული სიმინდის მარცვლის 80 პროცენტს პირუტყვის საკვებად გამოიყენებენ, დანარჩენ მოსავალს კი თვითღირებულების ფასად შეისყიდიან.

ჩვენს ხელთ არსებული ყველა რეზერვის ამოქმედებით, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვით ჩვენ შევძლებთ საგრძნობლად გავზარდოთ მინაათმოქმედების პროდუქტების ნაწარმოება. თითოეულ ფურზე მივიღებთ 200 კილოგრამით მეტ რძეს.

ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ ღირსეულად შევხვედეთ სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის იუბილეს.

3. ᲡᲣᲮᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
თელავის რაიონის ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲣᲐ�გᲣᲚᲨᲘᲐ

ᲛᲘᲓᲘ ოქტომბრით შობილი საბჭოთა ლიტერატურა მუდამ სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული ხალხის საქმეებთან და მისწრაფებებთან, დროის საზრუნავთან და საფიქრალთან და ძლიერი იყო ამ კავშირით, მისწრაფებით, გადაწყვეტა დიდი შემოქმედებითი ამოცანები. ამას ხელს უწყობდა და უწყობს ჩვენი პარტიის კულტურული პოლიტიკა, რომელიც სიტყვის ოსტატებს მიზნად უსახავს აქტიურ ძიებას სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემატიკის სფეროში, დიდი საზოგადოებრივი ყურადღების ნაწარმოებებს შექმნას.

ამ ლენინური კურსის ახალი დადასტურება გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილება „კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალების შემოქმედებითი კავშირის შესახებ“. მასში განზოგადებულია ყოველივე ის საყურადღებო და ნაყოფიერი, რაც სსრ კავშირის მწერალთა კავშირმა, მისმა ბეჭდვითმა ორგანოებმა გააკეთეს ქვეყნის ცხოვრებასთან ლიტერატურთა შემოქმედებითი კავშირის განვითარება-გაღრმავებისათვის, ლიტერატურული ძალების კონსოლიდაციისათვის, შემოქმედებითს პროცესზე გავლენის გაძლიერებისათვის. დადგენილებაში მაღალი შეფასება აქვს მიცემული მწერალთა ორგანიზაციების, ჟურნალების მიერ შეძენილ გამოცდილებას სამრწველო საწარმოებისა და მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებთან, არმიისა და ფლოტის მეომრებთან თანამეგობრობის საქმეში. საშეფო მუშაობა, ლიტერატურული საგუშაგოების ორგანიზაცია, მკითხველებთან ერთად ცხოვრებისა და შემოქმედების საჭირბოროტო საკითხთა განხილვა თანამედროვე თემატიკით ამდიდრებს ლიტერატურას, უფრო მნიშვნელოვანს და კომპეტენტურს ხდის ჟურნალების გამოსვლებს იმ პრობლემებზე, რომლებიც აღელვებს ფართო საზოგადოებრივობას.

ამასთან სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ლიტერატურული ჟურნალების მუშაობა გასაუმჯობესებელია. უფრო აქტიური უნდა გახდეს მათი როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფის, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების მომწიფებულ ამოცანათა გადაწყვეტაში, ხალხის კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში. საჭიროა გაფართოდეს ნიჭიერ ავტორთა წრე, რომლებიც მუშაობენ აქტუალური მიმართულების ნაწარმოებებზე. ამკვიდრებენ საბჭოთა ადამიანის შესაფერ ცხოვრებისეულ მიზნებს, აღმოფხვრიან პროლეტკულტურობასა და მუმტრულ ფსიქოლოგიას. პარტიული დოკუმენტი შეგვახსენებს, რომ კომუნიზმის მშენებელთა ახალ თაობებს სჭირდებათ სულისკვეთებითა და დროით ახლოსელი დადებითი გმირი, რომელიც აღიქმება, როგორც მხატვრული აღმოჩენა, გავლენას მოახდენს ადამიანთა საქციელზე, ასახავს ხალხის ბედს. საბჭოთა მრავალეროვნულ ლიტერატურას აქ სახელოვანი ტრადიციები აქვს, რომლებიც უნდა განვავითაროთ და გავამდიდროთ.

ლიტერატურული ჟურნალები შემოქმედებითი პროცესის დიდმნიშვნელოვანი რგოლია, საზოგადოებრივი ტრიბუნაა, საიდანაც გაისმის შემოქმედთა და მეცნიერთა, პარტიულ და სამეურნეო მუშაკთა სიტყვა, რომელიც მიმართულია მკითხველთა ფართო აუდიტორიისადმი. შესაფერ ეს განსაზღვრავს მოთხოვნებს ჟურნალების პუბლიკაციების ხარისხისადმი, მათი რედაქციგეგების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, ავტორთა აქტივის პასუხისმგებლობას. ამის შეხსენება მით უფრო საჭიროა, რომ უკანასკნელ ხანს ზოგიერთ ჟურნალში დაიბეჭდა ნაწარმოებები, რომლებშიც საბჭოთა ქვეყნის ისტორიის, სოციალისტური რეკონსტრუქციის, კოლექტივიზაციის მოვლენები ასახულია ცხოვრებისეული სიმართლის სერიოზული დამახინჯებით, ნაწარმოებები, რომლებიც შეიცავენ აკეიატებულ, ზედაპირულ შეხედულებებს თანამედროვეობაზე. ვერ შევურიგდებით იმ მსოფლმხედველობის გაურკვევლობას, მკაფიო კლასობრივი პოზიციებიდან გადახვევის ფაქტებს, რომლებიც გამოვლინდა ზოგიერთ ისტორიულ-ლიტერატურულ და ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაშრომში.

„პარტია არ ყოფილა და ვერც იქნება გულგრილი ჩვენი ხელოვნების იდეური მიმართულებისადმი“, — თქვა სკკპ XXVI კონგრესის ტრიბუნიდან ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. ახსოვთ რა ეს, მწერალთა ორგანიზაციებმა, პრესის ორგანოების რედაქციებმა კვლავაც უნდა იზრუნონ კრიტიკის მებრძოლურობის, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიური აღჭურვილობის ამაღლებისათვის, რადგან ზოგჯერ მას აკლია გარკვეული და პრინციპული შეფასება.

იყოს ცხოვრების წინა ხაზზე, თავისი სიტყვით ემსახურებოდეს ახლის, პროგრესულის დამკვიდრებას, სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცებას, საზოგადოებრივობის სამსჯავროზე გამოაქონდეს ეკონომიკისა და კულტურის განვითარების, მასების კომუნისტური აღზრდის საჭირბოროტო პრობლემები, მგზნებარედ უნევდეს პროპაგანდას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, ააშკარავებდეს ხალხთა მშვიდობისა და უშიშრობის მტრების ხრიკებს — აი მწერალი მოქალაქის შესაფერი შემოქმედებითი საქმიანობის ასპარეზი. ახლა მეტად მნიშვნელოვანია დავეხმაროთ ლიტერატორებს იპოვონ თავიანთი ადგილი ქვეყნის სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში. უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ მხატვრული სიტყვის ძალა იმისათვის, რომ ახალგაზრდობას ჩავუნერგოთ მინის, ბუნების, სასოფლო შრომის სიყვარული.

ჟურნალებში წარმოდგენილ მთელ რიგ ლიტერატურულ ჟანრებს შორის საპატიო ადგილი უკავია პუბლიცისტიკას. იგი მწერალს შესაძლებლობას აძლევს ოპერატიულად გამოეხმაუროს სანშინაო და საერთაშორისო ცხოვრების ამაღელვებელ მოვლენებს, მოგვევლინოს სოციალისტურ. სიახლის მზვერავის როლში. მწერალთა ორგანიზაციებმა, ჟურნალების რედკოლეგიებმა, აღნიშნული დადგენილებები, ნიადაგ უნდა იზრუნონ მხატვრული პუბლიცისტიკის განვითარებისათვის, აქტიურად მიიზიდონ ამ საბრძოლო ჟანრში მუშაობისათვის ახალგაზრდა ავტორები.

ორი მსოფლიო სისტემის უმწვავესი კონფრონტაციის, იმპერიალისტური რეაქციის იდეური დივერსიების გაძლიერების ვითარებაში არა აროს რა იმაზე უფრო მნიშვნელოვანი აშოკასა სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებისათვის, ვიდრე ის, რომ დაამკვიდოს საბჭოთა ცხოვრების წესი, ჩვენი ისეთი მორალური ღირებულებების სილამაზე და სიდიადე, როგორიცაა პატიოსანი შრომა ადამიანთა საკეთილდღეოდ, ინტერნაციონალიზმი, ჩვენი საქმის ისტორიული სიმართლის რწმენა. ყოველი სიტყვის ოსტატის ღირსების საქმეა იყოს ამ კეთილშობილური ამოცანის დონეზე, მთელი თავისი ნიჭი მოახმაროს მის გადაწყვეტას.

ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალების საქმიანობა მოითხოვს პარტიული კომიტეტების ყოველდღიურ ყურადღებას, რომლებმაც შემოქმედებითი კადრები უნდა აღზარდონ დაკისრებული საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით, საქმიანად გამოეხმაურონ პრესის გამოსვლებს, უფრო აქტიურად გამოიყენონ ჟურნალების პუბლიკაციები იდეოლოგიურ მუშაობაში.

ლენინის პარტიის სიტყვა მუდამ გამოხატავს დროის მთხოვნილებებს, საზოგადოებრივი განვითარების მომწიფებულ მოთხოვნილებებს. სწორედ ასე აღიქვამს ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ქვეყნის შემოქმედებითი ინტელიგენცია, რომელიც მტკიცედ დგას პარტიულობისა და ხალხურობის პოზიციებზე. ამ დოკუმენტში ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები ხედავენ საიმედო ორიენტირს თავიანთი პროფესიული და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, ჩვენი მხატვრული კულტურის განვითარებაში ახალი მნვერვალების დაპყრობისათვის...

12 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲖᲔᲒᲒᲛᲘᲗᲘ...

ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲗᲐ ᲗᲐᲜᲬᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲐᲓ, ᲡᲐᲤᲐᲠᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲝᲗᲐ ᲛᲘᲜᲓᲠᲘᲗ ᲓᲐ ᲞᲚᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ.

„**ᲡᲡᲠ** კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ ახალი მძლავრი პოლიტიკური და შრომითი ალმავლობა გამოიწვია ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში.

— ჩვენმა მრავალთასწლიანმა კოლექტივმა, — თქვა გამმართველთა ბრიგადირმა, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატმა შუქრი გიგინეიშვილმა, — გადაწყვიტა ვადამდე გადასცეს სიექს ალოატაციოდ საავტომობილო კორდანიშულების ავტომატარებლების სერიული წარმოება, თავისი ღირსეული წვლილი შეიტანოს სასურსათო პროგრამის განხორციელებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ქალაქის სხვა საწარმოთა. მრომითი კოლექტივების ყურადღების ცენტრშია. გადასინჯეს რა თავისი შესაძლებლობები, ქუთაისელებმა ვალდებულებები აკისრეს დამატებითი რეზერვების ამოქმედებით წელიწადში გამოუშვან 12 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, რაც წინათ ნაკისრ ვალდებულებას ოთხი მილიონით აღემატება.

(საქინფორმი).

ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ

ᲡᲐᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠ ᲕᲐᲮᲡᲢᲖᲔ:

ᲡᲐᲠᲐᲒᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲜᲬᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲐᲓ, ᲡᲐᲤᲐᲠᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲝᲗᲐ ᲛᲘᲜᲓᲠᲘᲗ ᲓᲐ ᲞᲚᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ.

ᲡᲐᲥᲛᲔᲛᲓ ᲒᲐᲛᲝᲐᲩᲘᲜᲐ



ᲡᲡᲠ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ თბილისის „კომკავშერელის“ საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკისა და „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად ორივე კოლექტივის მრავალმა მუშამ ახალი გაზრდილი ვალდებულებანი იკისრა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲐᲜᲗᲐ: თბილისის „კომკავშერელის“ საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკის მოწინავე მუშა ნინო ცქრიალაშვილი (ზემოთ), რომელმაც გადაწყვიტა მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმა 8,5 წელიწადში შეასრულოს; „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების საავტომატო საამქროს მბრელი გ. კვეხიაშვილი (ქვემოთ). იგი ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებითა და მაღალხარისხოვნად ასრულებს.

Ა. ᲙᲐᲙᲐᲪᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲨᲔᲕᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲝᲗ ᲭᲘᲠᲜᲐᲮᲣᲚᲘ!

ᲢᲥᲕᲘᲐᲛᲔᲚᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘ ᲛᲮᲐᲠᲣ ᲣᲭᲔᲠᲔᲜ ᲡᲐᲠᲐᲒᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲜᲬᲚᲝᲑᲐᲡ

ᲜᲐᲓᲒᲕᲘᲚᲐᲓ საჭირო და სასარგებლო თაოსნობა გამოიჩინეს სარაგოველმა დეპუტატებმა, მათი შრომის დეკეზია: მთლიანად შეევინარჩუნოთ ჭირნახულნი ამასთან დაკავშირებით საქართველოდან სარატოველებს პირველად თელაველები გამოეხმაურნენ. ჩვენ მათი წერილიც გულდასმით წავიკითხეთ, ერთხმად მოვიწონეთ და მხარიც დავუჭირეთ.

წლევანდელი წელი მთელი საქართველოს სოფლის მშრომელებისათვის და ჩვენთვისაც ძალზე ძნელი და მძიმეა. ჯერ იყო და, ადრე გაზაფხულზე გვალვამ შეგვაშფოთა, მერე სეტყვამ და წყალდიდობამ შეგვიშალა ხელი აღორძესებით გათვალისწინებულ ვადებში შეგვესრულებინა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები: ხვნა, თესვა, კultივაცია, ბაღების მწკრივთაშორისების ხვნა, მავნებელ-დაავადებათა საწინააღმდეგო წამლობა და სხვა. მიუხედავად ამისა, ყველაფერი ვიღონეთ, რომ სამუშაოები მაღალხარისხოვნად შეგვესრულებინა და კარგი მოსავალი მიგვეღო.

ახლა მარცვლეულის აღებისა და კერკოვანი ხილის კრეფის დრო, ჭაობლის ნათესებს დაფეზავება კვლავ სეზონდება. გადავწყვიტეთ ეს სამუშაოები თავის დროზე შეესრულოთ და არც ერთი კილოგრამი მოწეული მოსავალი არ დავკარგოთ. დასაბინავებელს — ბეღლები დაგებნავებთ, მისაყიდს — სახელმწიფოს უკლებლივ მიეყიდით. მოგებსენებ, რომ ზაფხულში ჩვენთან ქარი არცთუ ისე იშვიათია და ვაშლი ნაადრევად მიწაზე ცვივა. ნაყარ ხილს საკმაოდ აქვს ვიტამინები. შაქრიანობა, ასე რომ, მისი გამოყენება შეიძლება. ნაყარი ხილისაგან საკონსერვო და ხილის წვენების ქარხანა კარგ პროდუქციას ამზადებს.

სოფელში მყოფმა დეპუტატებმა, კონტროლის ჯგუფის წევრებმა, სოფლკორებმა, მთელმა აქტივმა სარატოველთა მაგალითისამებრ შეკიბუმაკეთ მოქმედების გეგმა და ახლა ამ გეგმის მიხედვით ვმუშაობთ ისე, რომ ხილი და სხვა ჭირნახული მთლიანად შევინარჩუნოთ.

შემოდგომაზე, როცა ხილია კრეფა მთელი ძალით გაჩაღდება და სხვა ჭირნახულის აღებაც დაიწყება, ჩვენ უფრო გავაძლიერებთ მუშაობას და შრომით ძალწეულ ყოველ კილოგრამ პროდუქტს შევინარჩუნებთ, საკოლმეურნეო სალაროს მაქსიმალურად გავამდიდრებთ.

რ. ᲩᲘᲚᲐᲫᲔ — გორის რაიონის ტყვიავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; **ლ. ᲙᲝᲠᲘᲜᲗᲘᲐᲜᲘ** — კოლმეურნე, რაიახბჭოს დეპუტატი; **Ე. ᲔᲚᲘᲐᲕᲘᲫᲔ** — რაიახბჭოს დეპუტატი; **Ꭲ. ᲑᲐᲑᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ** — ბრიგადირი, სასოფლო საბჭოს დეპუტატი.

7 ᲓᲐ 8 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲥᲣᲔᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲘᲗᲕᲚᲘᲠᲔᲑᲐᲡᲐ

ᲥᲣᲔᲔᲑᲛᲐ ᲠᲝᲛ ᲘᲛᲠᲘᲐᲚᲝᲜ

— **ᲩᲕᲔᲜᲘ** უკვე ტრადიციად იქცა ტყვიავის რესპუბლიკური დათვალიერება, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრმა **შ. ᲭᲐᲚᲐᲒᲐᲜᲘᲫᲔ**, — იგი მეხუთედ ეწყობა. ამ დღეებში მკაცრ გამოცდას აბარებენ არა მარტო საქართველოს სატყეო მეურნეობის მუშაკები, არამედ მშენებლებიც, სოფლის მეურნეობის, სამრეწველო საწარმოების მშრომელებიც. იმაზე, თუ რამდენად კარგად არის კოორდინირებული ყველას მეცადინეობა გარეშოს დაცვისათვის, რამდენად დიდი წვლილი შეაქვს თითოეულ ორგანიზაციას რესურბლიკის მწვანე სიმდიდრის დაცვის საქმეში, დამოკიდებულია საქართველოს უნიკალური ბუნების ხვალინდელი დღე.

ჯერ კიდევ შარშან შეადგინეს რესპუბლიკის ტყეების „დაცვის სიგელი“. იგი თვალსაწიერს ხარგავებს დაცვას მათი ფუნქციების, სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მიხედვით. მაგალითად, აკრძალულია ტყეების გაკაფვა თეგზიან წყალსატევებთან, მწვანე მასივებში, რომლებიც ნიადაგს იცავენ ქარისმიერი ეროზიისაგან, ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების, კურორტების გარშემო. მაგალითად, უკანასკნელ ხანს ძალზე ბევრ რამ გაკეთდა თბილისისა და ცხინვალის, გორისა და ბათუმის, სოხუმისა და რუსთაველის, საქართველოს ბევრი სხვა ქალაქის გარშემო მწვანე ზონების შექმნა-განვითარებისათვის.

იმას, თუ როგორ ბდება ტყის დაცვის შესახებ ახლო მოთხოვნათა დაცვა, გვიჩვენებს დათვალიერება, რომელშიც მონაწილეობენ პარტიული, სახელთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო მუშაკები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, მეცნიერები, სპეციალისტები, საზოგადოებრიობა.

დათვალიერების ერთ-ერთი მთავარი მიზანია ტყის რესურსების დაცვისა და აღდგენა-განახლების გაუმჯობესება. შექმნილია და მოქმედებენ სპეციალური სამუშაო კომისიები, რომლებიც კონტროლს უწევენ მწვანე მასივების მდგომარეობას, ღონისძიებებს, რომლებსაც მეტყევეები ახორციელებენ რესპუბლიკის სატყეო პატენციალის გადიდებისათვის, აგრეთვე ნარგავების უკანონო ჭრის თავიდან აცილებისათვის. მთელ ამ ღონისძიებებს უკვე ბოლო წლის მანძილზე კარგი შედეგები მოჰყვა. მაგალითად, მნიშვნელოვნად გაიზარდა სტანდარტული სარგავი მასალის გამოყენება. შემცირდა მაცენარეთა დაავადების კერები, რესპუბლიკის რუკაზე გაჩნდა ახალი კაკლნარნი. აქვე მინდა დავძინო, რომ ჩვენს დარგს შეუძლია ნებისმიერი რაოდენობით უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული ორგანიზაცია კაკლის ნერგებით.

გაუჭირდესდა სანიტარიული კავფვის ხარისხი, ამასთან ახლა უკვე ნარჩენები აღარ იკარგება: მომხმარებელს მივაწოდეთ გადასაშენებლად 500 კუბურ მეტრზე მეტი ლეკვიდური მერქანი. გაუჭირდესდა ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი — ტყის კულტურების გაბარების უნარი. იგი პროცენტ-ნახევრით გაიზარდა. ეს კი ნიშნავს, რომ რესპუბლიკის ტყის მასივების ფართობი მრავალი ათეული ჰექტარით გადიდდა.

რესპუბლიკის მეტყევეები დღეიდან სრულყოფენ თავიანთ საქმიანობას. შემუშავებულია და წარმოებაში დაინერგა ტყეების გაშენების კვემები, რომლებიც ითვალისწინებს ხეების ზრდის პირობებსა და ბიოლოგიურ თავისებურებებს. ეროზირებულ მიწებზე შეიდება ახალგაზრდა ტყეები. სასოფლო-სამეურნეო ბუნებაში კვლავ მოქცეულია რამდენიმე ათასი ჰექტარი ყოფილი მიგდებული მიწა.

ამაღლდა სელექციურ საფუძველზე მეთესლეობასა და სატყეო-სანერგე მეურნეობაში მუშაობის დონე. გაშენებულია ბევრი სატყეო-სათესლე, და ეგრეთ წოდებული სადედე ნარგავები, ხეების სანერგეების რეკონსტრუქცია, განფუძყვეტლივ ფართოდდება. კაკლისა და თუთის ნაყიერი ნერგების წარმოების ბაზა. მატყლეულს ისეთი ძვირფასი ხის ჯიშების ნერგების რაოდენობა, როგორიც არის მუხა, ნეკერჩხალი, სოჭი, ცაცხვი, იფანი, წაბალი და სხვ.

აქტიური ბრძოლა მიმდინარეობს მეცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ.

— ტყეების ახლანდელმა დათვალიერებამ, — თქვა დასასრულ შ. ი. ჭალაგანიძემ, — უნდა გააკეთოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სამინისტრომ, ყველა სხვა დარგის მუშაკთა საქმიანობა საქართველოს მწვანე სიმდიდრის გასამრავლებლად.

ᲡᲐᲙᲕᲔᲒᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲡ — ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ!

ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲑᲐᲠᲔᲯᲐᲜᲘᲡ რაიონის მეურნეობებში საკვების დამზადების ყველაზე ცხარე დღეებშიც კი არ გრძნობენ ტექნიკის ნაკლებობას. რესპუბლიკაში საკვები კულტურების მწვანე მასის აღებისათვის პირველად აქ გამოიყენეს მარცვლის ასაღები კომბაინი „ნივა“. პირველის აღების შემდეგ ისინი ახლა შემდეგ მკას კი ალარ ელიან, არამედ სათიბში მიემართებიან. ერთი აგრეგატის მწარმოებლობა დღეში შეადგენს 12-14 ჰექტარს, რაც აღემატება სპეციალური მანქანების მწარმოებლობას.

კიდევ ერთი სიახლე. მარტივი გადაკეთების შედეგად ჩამოწერილ „სკ-4“ და „სკ-5“ მარცვალასაღებ კომბაინებს ახლა რაიონში თივისა და ნამჯის შესაგროვებლად და მისაშველებლად მათი დატვირთვისათვის იყენებენ.

საკვებმომპოვებელთა დამკვრელურმა შრომამ შესაძლებლობა მისცა რაიონის მეურნეობებს შარშანდელთან შედარებით უფრო სწრაფი ტემპით დაამზადონ საკვები. მაგალითად, აქ მარტო თივა წლიური გეგმის სამოცდათი პროცენტი დამზადდა, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე შარშან ამავე დროს იყო.

გარდაბნელთა წარმატება განმარტა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკვებწარმოების სამმართველოს საველე საკვებწარმოების განყოფილების უფროსმა კ. ყელეევმა. მან თქვა:

— რაიონის მშრომელები საკვების წელიწად-ნახევრის მარაგით მეურნეობების უზრუნველყოფისათვის გაჩაღებული შეჯიბრების ინიციატორები არიან. მათ გადაწყვიტეს აგრეთვე დაგროვონ იმდენი ფურაჟი, რომ მეზობელი რაიონების მეურნეობებსაც დაეხმარონ. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა მრავალმა რაიონმა. სასიხარულოა, რომ მთლიანად რესპუბლიკაში ივლისის დამლევისათვის დამზადებულია, მაგალითად, 55,4 ათასი ტონა სილოსი — 11 ათასი ტონით მეტი, ვიდრე შარშან. ეს უზრუნველყოფს სპეციალიზებული ბრიგადებისა და რაოდენობის რიტმულმა მუშაობამ.

თანაბარზომიერად მიმდინარეობს სენაჟის დამზადება. სადღეისოდ 31 რაიონმა შესრულა წლიური გეგმები. აქ უკვე სოციალისტური ვალდებულებების ანგარიშში მუშაობენ. 28 ათასი ტონა ბალახის ფჩვნილიდან, რომელიც წელს უნდა მოიმარაგოს რესპუბლიკამ, უკვე დამზადდა 8,300 ტონა. „საკვები-82“ კამპანიაში ჩაბმულია ექვსი კომბინირებული საკვების ქარხანა — სამტრედიაში, გორში, ცხაკაიაში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და ცენტრებში. საბოლოო ანგარიშით, მიმდინარე სეზონში გასული წლებისაგან განსხვავებით შექმნა პირუტყვის გამოსაზამრენელად საინდო საკვების მარაგის უზრუნველყოფის კარგი პირობები. (საქინფორმი).

ᲠᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲙᲠ

ПАРТИПУЛი ცხოვრება: ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები

„ᲐᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ“

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო. მორიგი სხდომა იყო. როგორც ყოველთვის, კადრების საკითხსაც განიხილავდნენ...

ბოლნისის სახალო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე რეკომენდებული იყო დაენიშნათ შ. რეხვიაშვილი. ამ კაცის საანკეტო მონაცემები, რა თქმა უნდა, ჩინებული იყო. მაგრამ წარმოდგენილ დახასიათებში დადებით მომენტებთან ერთად გამოთქვა კრიტიკული შენიშვნებიც. სწორედ ამან განსაზღვრა სხდომაზე ბრთა გაზიარების ხასიათი, ანრიმელზეც. აწონ-დაწონეს ყოველივე „დადებითი“ და „უარყოფითი“. და მხოლოდ ამის შემდეგ გაისმა: ღირსია!

შემდგომში საშოალება მომეცა მისი „პირადი საქმის“ დანართ დოკუმენტებს გავცნობოდი. თურმე მანამდე კანდიდატურის გამო უმსჯელიათ ღია საამქრო პარტიულ კრებებზე, შემდეგ — მაღლიელის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის პარტკომის გაფართოებულ სხდომაზე. დაწინაურებამდე რეხვიაშვილი აქ მუშობდა და პარტკომის მდივნად. ოქმებში ადასტურებდა: მისი, როგორც პარტიული ხელმძღვანელის ჩამოყალიბება მთელი კოლექტივის თვალწინ მიმდინარეობდა, და ამიტომ ხალხს ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი. მათ კარგი აზრი შეექმნათ მდივნის პატიოსნებაზე, პრინციპულობაზე, სხვა თვისებებზე, მაგრამ არც „ჩრდილოელთანი“ მხარეები გამორჩენიათ.

მაგალითად, ზეინკალმა ს. ცომაკურიძემ და ზოფერმა კ. პოპოვმა კანდიდატურის განხილვისას განაცხადეს: ჩვენი მდივანი ყოველთვის ჯეროვნად არ ეყრდნობოდაო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ზეინკალმა ა. ბიბილურიძემ მეტისმეტი სიმკაცრე უსაყვედურა, რომლიდანაც უხეშობამდე კი ნაბიჯია, მთავარი ინკინრის მოადგილემ ვ. ტრაპეზნიკოვმა კი, პირიქით, მადლობა გადაუხადა პარტკომს მდივანს პირადად მისდამი გამოჩენილი მომთხოვნელობისათვის (რეხვიაშვილის წინადადებით თავის დროზე ტრაპეზნიკოვი, მკაცრად, მაგრამ სამართლიანად დასაჯა მუშობაში ხარვეზებისათვის). კომბინატის მთავარმა ენერგეტიკოსმა ვ. კოჩერგინმა აღნიშნა, რომ მდივანი, რომელიც მომკითხველი იყო სხვებისადმი, თვითონაც სწორად აღიქვამდა კრიტიკას. ეს ეი არის, რომ ამ კრიტიკას ახლაც ასევე შეხვდებაო...

ორსულობისა, ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება: რეკომენდაცია მიეცეს შ. რეხვიაშვილს სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე.

— მართალი გითხრათ, — გამომიტყვა იგი შემდგომში, — როცა საკუთარ ფიქრებთან მარტოდმარტო ვრჩებოდი, ზშირად ეშვიენ მტანჯავდა, ვაითუ, ყოველთვის სწორად არ ვაგებ-მეთქი ჩემს მუშობას. და აი, კოლექტიურმა დახასიათებამ დამარწმუნა, რომ ამ ეშვიეს საფუძველი ჰქონია. განხილვამ ბევრი რამ მომეცა.

უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს პარტიულ კომიტეტებში კადრების შერჩევისა და განაწილებისადმი ასეთი მიდგომა, საკადრო საკითხების განხილვისას ასეთი ფართო კოლეგიურობა ნორმად დამკვიდრდა.

— დღეს ჩვენი ხელმძღვანელი მუშაკების კანდიდატურათა დაახლოებით მესამედა მხოლოდ კოლექტივებში განხილვის და მათი რეკომენდაციების შემდეგ ვიხილავთ და ვაძლევთ რეკომენდაციას, — გვითხრა პარტიის თბილისისა საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. მეხოშაშვილმა.

ასევე იქცევიან ქუთაისის, რუსთავის, ფოთის საქალაქო კომიტეტებში, თელავისა და ყვარლის რაიკომებში, ბევრ სხვა კომიტეტში. მაგრამ სულ ცოტა ხნის წინათ ხომ, როგორც წესი, ყველაფერი „ჩვეული“ სქემით მიმდინარეობდა: წაიკითხავდნენ ძირითად საანკეტო მონაცემებს, გამოაცხადებდნენ, რომ კანდიდატურას დადებითად ახასიათებენ და პროკურორა მთავრდებოდა თავმჯდომარის ლაკონიური რეპლიკებით: „არის წინადადება... წინააღმდეგი არავინაა, დამტკიცდა...“.

არსებითად რომ ითქვას, განსახილველიც არა იყო რა, ყველაფერი წინასწარ ჩქონდათ გადაწყვეტილი, რამეთუ ძირითად დოკუმენტებს, დახასიათებებს თითქოს შტაბით ადგენდნენ, სტანდარტული იყო. ამ დახასიათებიდან ადამიანები რაღაც უბრალოდ და სტერეოტიპებად გამოიყურებოდნენ: „თავდადაბალი, სისტემატიკად მუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებლად, მცდელი სპეციალისტია“ და სხვა და სხვა. არც ერთი სურვილი თუ შენიშვნა, არც ერთი შავი წერტილი ბიოგრაფიაში, არც ერთი სიტყვა ხასიათის, მუშობის თავისებურებაზე. და პირიქით, როცა თანამდებობიდან ადამიანის განთავისუფლების საკითხი დგებოდა, დახასიათებებში „შავი ლაქების“ გარდა ვერაფერს ნახავდით, კრინტს არავინ სძრავდა იმ კარგზე. რაც ამ ადამიანს ჰქონია.

არც ისე დიდი ხნის წინათ ასეთი რამეც ხდებოდა: მუშაის დახასიათებას გულმოდგინედ უმალავდნენ არა მარტო „ბარეშეთ“, არამედ თვით მთავრ. თითქოს ეშინოდათ: ვაითუ თავისი ნაკლოვანებანი გაიგოს და... გამოსწორდესო. ვინ არ იცის, რომ ფარული განხილვა ეშვიათად თუ მოპოვებია სწორი დასკვნა. ზოგჯერ ადამიანის ცხოვრებაში ისეთი პასუხსაგები მომენტი, როგორიცაა ახალ თანამდებობაზე მისი დაწინაურება, უბრალო ფორმალობით ‘ამოწურება, თავის ‘ამოზრდილობითს ძალას ‘არგავს.

კადრების შერჩევისა და განაწილების წინანდელი, უფარგისი პრაქტიკის ხარვეზებით თუ ახსნება ის, რომ ასეა თუ ისე, დღემდე ვხედებთ ნაკლოვანებებს და შეეცდინ ამ ეშვიეს საფუძველი ჰქონია. განხილვამ ბევრი რამ მომეცა.

უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს პარტიულ კომიტეტებში კადრების შერჩევისა და განაწილებისადმი ასეთი მიდგომა, საკადრო საკითხების განხილვისას ასეთი ფართო კოლეგიურობა ნორმად დამკვიდრდა.

— დღეს ჩვენი ხელმძღვანელი მუშაკების კანდიდატურათა დაახლოებით მესამედი მხოლოდ კოლექტივებში განხილვის და მათი რეკომენდაციების შემდეგ ვიხილავთ და ვაძლევთ რეკომენდაციას, — გვითხრა პარტიის თბილისისა საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. მეხოშაშვილმა.

ეს ეი იქცევიან ქუთაისის, რუსთავის, ფოთის საქალაქო კომიტეტებში, თელავისა და ყვარლის რაიკომებში, ბევრ სხვა კომიტეტში. მაგრამ სულ ცოტა ხნის წინათ ხომ, როგორც წესი, ყველაფერი „ჩვეული“ სქემით მიმდინარეობდა: წაიკითხავდნენ ძირითად საანკეტო მონაცემებს, გამოაცხადებდნენ, რომ კანდიდატურას დადებითად ახასიათებენ და პროკურორა მთავრდებოდა თავმჯდომარის ლაკონიური რეპლიკებით: „არის წინადადება... წინააღმდეგი არავინაა, დამტკიცდა...“.

არსებითად რომ ითქვას, განსახილველიც არა იყო რა, ყველაფერი წინასწარ ჩქონდათ გადაწყვეტილი, რამეთუ ძირითად დოკუმენტებს, დახასიათებებს თითქოს შტაბით ადგენდნენ, სტანდარტული იყო. ამ დახასიათებიდან ადამიანები რაღაც უბრალოდ და სტერეოტიპებად გამოიყურებოდნენ: „თავდადაბალი, სისტემატიკად მუშობს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებლად, მცდელი სპეციალისტია“ და სხვა და სხვა. არც ერთი სურვილი თუ შენიშვნა, არც ერთი შავი წერტილი ბიოგრაფიაში, არც ერთი სიტყვა ხასიათის, მუშობის თავისებურებაზე. და პირიქით, როცა თანამდებობიდან ადამიანის განთავისუფლების საკითხი დგებოდა, დახასიათებებში „შავი ლაქების“ გარდა ვერაფერს ნახავდით, კრინტს არავინ სძრავდა იმ კარგზე. რაც ამ ადამიანს ჰქონია.

არც ისე დიდი ხნის წინათ ასეთი რამეც ხდებოდა: მუშაის დახასიათებას გულმოდგინედ უმალავდნენ არა მარტო „ბარეშეთ“, არამედ თვით მთავ. თითქოს ეშინოდათ: ვაითუ თავისი ნაკლოვანებანი გაიგოს და... გამოსწორდესო. ვინ არ იცის, რომ ფარული განხილვა ეშვიათად თუ მოპოვებია სწორი დასკვნა. ზოგჯერ ადამიანის ცხოვრებაში ისეთი პასუხსაგები მომენტი, როგორიცაა ახალ თანამდებობაზე მისი დაწინაურება, უბრალო ფორმალობით ‘ამოწურება, თავის ‘ამოზრდილობითს ძალას ‘არგავს.

კადრების შერჩევისა და განაწილების წინანდელი, უფარგისი პრაქტიკის ხარვეზებით თუ ახსნება ის, რომ ასეა თუ ისე, დღემდე ვხედებთ ნაკლოვანებებს და შეეცდინ ამ ეშვიეს საფუძველი ჰქონია. განხილვამ ბევრი რამ მომეცა.

„ᲐᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ“

ᲠᲝᲓᲘᲝᲜᲘᲡ საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის პირველი მდივნის ემზარ ბერიძისს საქმიანობას დაუკარგდნენ, არ შეიძლება კიდევ ერთხელ არ დარწმუნდეთ პიროვნების მაგალითის ძალაში, ხასიათი სასარგებლო თაოსნობის მნიშვნელობაში.

ამ ორიოდე წლის წინათ აირჩიეს ემზარ ბერიძე ბოლნისის კომეფხლისტთა თავკაცად. იგი მაზარიძეში იყო მეორე მდივნად. ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატია.

მაგრამ მაზარაძის რაიონში ყველაფერი აწონილი და აზომილია. რეზერვებიც თითქოს „ალარ ჩანს“. ორაგვეულიებმა და ფოთლიძეებმა კარგა ხანია ყოველ მთვალნს მიაკვლიენ და ამოუქმედეს. აი, დმანისში კი რეზერვები ხიხვებივით არის გადაყრილი, ოღონდ დაინახე, დასწედ, აიღე და გამოიყენე, — ფიქრობს დმანისელთა თავკაცი და მისი ამჟამინდელი საქმიანობის ედაარსი სწორედ რეზერვების ძიება და ამოქმედებაა.

ახლაგაზრდა ოკომძის მდივანს თავისი მდგომარეობისათვის ფრიად შესაფერი თვისება აღმოჩნდა — თავისი უშიშარობა და უბრალოებთან დაკისრებული ფილოსოფიისადმი მაღალი პასუხისმგებლობით, ადამიანს ტულ მაღე იგებს, ქართველთა და აზერბაიჯანელთა ბუნებას მეტი რა უნდა. სწორმა თავაზიანობამ თავკაცისა და მოპყვანიან კიდეკაც დანდობილად.

ᲧᲘᲗᲚᲘ სამეურნეო წელიწადში დმანისის რაიონში 5 მილიონზე მანეთის სამრეწველო პროდუქცია იქმნება. რაიონის ახლადილი ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ ეს საკმარისი არ არის. ამ ფიქრით პრაქტიკულ ნაბიჯიც გადადგეს. დმანისის რაიონი ძალიან მდიდარია საამშენებლო ქვებით. გეოლოგების მიერ აღმოჩენილია ბაზალტის, ტუფის, გრანიტის დიდი საბადოები. გადაწყვეტეს მისი დამუშავება და შექმნეს ქვის გადამუშავების სამეურნეობათაშორისო გაერთიანება. ამ გაერთიანებაში 7 მეურნეობა შედის. მათ ბანკის კრედიტისა და სასაათ შენატანების ხარჯზე შექმნეს საკუთარი ტექნიკური ბაზა. შემოტანეს და დაამონტაჟეს ქარხნის მოდელი 900 კვადრატულ მეტრ ფართობზე. ამჟამად ქარხნის საწარმოო კორპუსი აწყობილია.

ქვის გადამუშავების სამეურნეობათაშორისო გაერთიანების თავმჯდომარედ დანიშნეს გამოცდილი ინჟინერი, კომუნისტი გიორგი ღლონტი. აქ 350 ადამიანი იმუშავებს. გააკეთებენ ძვირფას მოსაპირკეთებელ ფილებს, კირისგან დაამზადებენ საშენ ბლოკებს. საწარმო დიდად მომგებიანი იქნება. წელიწადში ამ ოთხი მილიონი მანეთის საშენ ქვებს დაამზადებენ.

ქვის გადამუშავების ქარხანამ უკვე იეხლის დამოუშავა პირველი ბოლოდეკი.

დმანისში არის ჩაის საწონი ფაბრიკა. აქ ჯერჯერობით ცვლაში 50 ადამიანია დასაქმებული, მაგრამ მალე 300 კაცი იმუშავებს და უკვე წლეულ ათას ტონა ჩაის ნედლეულს გადამუშავებენ.

გაერთიანება „ელექტროშემდუღებელი“ დმანისის რაიონში აკეთებს თავის ფილიალს. დღეს უკვე ამზადებენ კადრებს ამ საწარმოსათვის. ჯერჯერობით 50 ადამიანი დასჭირდება ამ ფილიალს, ხოლო შემდეგ, როგორც ქაქმს მესვეურები ფიქრობენ, აქ იქნება დამოუკიდებელი ქარხანა, რომელიც დაამზადებს ელექტროშესადუღებელი აპარატებს, მის კვანძებს და დეტალებს.

სოფელ გომარეთში ამუშავდა ახალი ქარხანა-საოჯახო, სადაც სამზარეულოს ვეიტილატორებს დაამზადებენ. საწარმოში 100 კაცი მუშაობს, აქვეა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, რომელიც ქარხნისთვის კადრებს ამზადებს.

მალე დმანისელები ყოველ წელიწადს 3-4-ჯერ მეტი ღორეულების პროდუქციას გამოუშვებენ დღეკვანდელთან შედარებით. ამიტომ ელპარკოდით პირადი თაოსნობის მნიშვნელობაზე. როცა რეზერვებს ხედავენ და იყენებენ, მაშინ ფოკუსათი თავისთავად მატულობს.

ᲓᲐᲜᲘᲡᲘᲡ ტყეები მდიდარია ველური ხილით. ძალიან ბევრია აქ პანტა და მაკალო, კაკალი და ასკილი. თუ სასურსათო პროგრამის განხორციელებაზე ვფიქრობთ, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ეს ბერიფსები და უხვი რეზერვები? — იფიქრეს დმანისელებმა და გადაწყვიტეს ტყის ხილის გადამუშავებელი საწარმო შეექმნათ, მაგრამ ბუნებრივად დაიბადა კითხვა, სად? როგორ?

რაიონში ახალი ყველის ქარხანა აშენდა. ძველი ქარხნის შენობას, ალბათ, დანგრევა ელოდა, მაგრამ დმანისელი თავკაცები ეუკვე ჩასწვდნენ იმ უბრალო ეკონომიურობას, რომ დანგრევა იოსაკენ ბაზას.

ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲝᲚᲝᲜᲓ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲕᲔᲜᲔ

ᲓᲛᲐᲜᲘᲡᲣᲠᲘ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

 კოოპერირების ხელშეკრულება კი ითვალისწინებს, რომ ყოველი ათასი კვადრატულ მეტრი ნაკვეთიდან სახელმწიფოს უნდა მიეყიოს 300 კილოგრამი რეკმარტო სოფელ გომარეთში 150 კომლია ჩაბმული ამგვარ კოოპერირებაში.

დმანისელები რძესთან ერთად ხორციც ზარმაცებაზეც ფიქრობენ. ამიტომ შექმნეს მეფორეობის სამეურნეობათაშორისო გაერთიანება. აქ ჰყავთ ჯიშიანი სანაშენე გოჩები, რომლებსაც მერე მოსახლეობას აძლევენ გასაზრდელად. მოდი და ნე ბარშენენ კოოპერირების სიკეთეს, როცა ერთ კილოგრამ წონამატებაზე ამ ხორცელ 2 კილოგრამ კომბინირებულ საკვებს ხარჯავენ, მეურნეობაში კი ერთ კილოგრამზე 8 კილოგრამი კომბინირებული საკვები იხარჯება.

ᲧᲕᲔᲚᲐᲡ გვახსოვს, თუ ამ სამი ოთხი წლის წინათ როგორი ფამაწყრეულები მიეძალებოდნენ ბოლო დმანისის რაიონში დანგრეული დაუფუძნებლივ უზრდა ადგილნილიყო, ეს იყო რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობის წადილი, რაც ალსრულდა კიდევაც. მარტო 1978 წლიდან დღემდე რაიონში აშენდა 12 ტიპობრივი რვაწლიანი და საშუალო სკოლა. 7 ბაგა-ბაღი, 5 ამბულატორია, 50-საწოლიანი სასოფლო საავადმყოფო პოლიკლინიკითა და აფთიქით, თვითონ ქალაქ დმანისში აშენდა 180-საწოლიანი საავადმყოფო. ყოველ ფაქტში მოჩანს განსაკუთრებული ზრუნვა ხალხზე, მშრომელ ადამიანზე.

Ყ. ᲥᲣᲠᲮᲣᲚᲘ

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲡ“ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲔᲜ

ᲞᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲚᲐᲡᲚᲔᲑᲘᲗ

„კომუნისტში“ გამოქვეყნებულ კოლექტიურ წერილში „სოფელი დახმარებას ითხოვს“ ლაპარაკი იყო სოფელ გუნდაეთის ავკარზე. ჭიაურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ო. გოგატიშვილი გვატყობინებს, რომ კრიტიკულ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა.

საჭალაქო საბჭოს აღმასკომმა დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. მიმდინარე წელს დაპროექტდება და გაიხად რეკონსტრუქტიერ ბულ იქნება საავადმყოფოსელი გზის ბოლო, 1,5 კილომეტრი სიგრძის ვიწრო მონაკვეთი. სამუშაოებს შეასრულებს ჭიაურის საჭალაქო საბჭოს აღმასკომის საწარმოო-საგზაო უბანი. საწარმოო გაერთიანება „ჭიათურშენგანუმი“ ამზადებს სოფლის წყალგაყვანილობის პროექტს, ეს მშენებლობაც გაიხად განხორციელდება.

მუშავდება 100-ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგურის პროექტი, რომლის მშენებლობა გაიხად დაიწყება საბჭოთა მეურნეობის ცენტრში. მიხი ამუშავებით გადაწყდება სოფლის სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფის საკითხი.

საჭალაქო საბჭოს აღმასკომს დაწესებული აქვს კონტროლი აღნიშნული საკითხების დროული მოგვარებისადმი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲐᲠᲙᲝᲛᲘ

ᲩᲘᲜᲔᲚᲘ

ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ 21 ᲐᲠᲘᲚᲘᲡ ᲜᲝᲛᲘᲠᲨᲘ ᲓᲐᲘᲜᲘᲭᲔᲓ ᲤᲘ. ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲬᲘᲠᲘᲚᲘ „ᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲝᲠᲘᲪᲘᲗ ᲔᲠᲘ ᲓᲐᲓᲐᲡᲬᲠᲝᲡᲗᲐᲜ“, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲧᲝᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲓᲝᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲓᲒᲐᲠᲗᲐ ᲞᲐᲠᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡᲣᲠ ᲜᲐᲢᲣᲠᲐᲚᲣᲠ და ხელოვნურ აბრეშუმზე დიდი მოთხოვნაა ჩვენს ქვეყანაში. იგი გამოირჩევა სასიამოვნო ფერებითა და მაღალი ხარისხით.

ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივი ისწრაფვის უფრო სრულად დაკმაყოფილოს ქვეყნელნი მოთხოვნილება. მარტო მიმდინარე წლის ექვს თვეში გამოშვებულია 80 ათას მანეთზე მეტი ღირებულების ზეგეგმითი პროდუქცია. გაერთიანების თორმეტი სახეობის აბრეშუმის ქსოვილს მინაბებული აქვს სახელმწიფოს ხარისხის ნიშანი.

ბოლო დროს საწარმოს საამქროებში დაიდგა 800-ზე მეტი ჩეხოსლოვაკიური საქსოვი დაზგა. ეოძველებული ტექნიკის უახლესი, დიდმწარმოებლური მანქანებით შეცვლა გრძელდება.

სხრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში კარგ მაჩვენებლებს აღწევენ მჭოსკელები დარეკნან ონიანი და ოლეგ ხეცურიანი. ისინი 20-20 დაზგას ემსახურებიან. მათ ანგარიშზეა ასობით მეტრი ზეგეგმითი ქსოვილი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲛᲭᲝᲡᲙᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜ ᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲝᲚᲔᲒ ᲮᲔᲪᲣᲠᲘᲐᲜᲘ.

Გ. ᲑᲔᲠᲐᲫᲘᲡᲐ (ᲤᲝᲢᲝᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲣᲠᲘᲓᲐᲜ).

ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲘᲡ ᲣᲒᲐᲜᲘᲗ

ᲘᲛᲔᲓᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ...

ᲓᲘᲓᲘ ხანია, რაც აჭარაში სასკოლო მშენებლობა საყოველთაოსახალხო საქმედ გადაიქცა. ამის ნათელი დასტურებაა ისიც, რომ რესპუბლიკაში ფართოდ არის გაშლილი საინიციატივო მშენებლობა. ბოლო წლებში საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და კოლმეურნეების შრომითი მონაწილეობით აშენდა ათობით სკოლა და სკოლამდელთა აღზრდის ობიექტი. გასასკეთრებით იმარჯვეს ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში. აქ სოფელს ვერ ნახავთ, მშრომელთა დანაზოგებით რომ არ აშენებულიყოს სკოლა ან საბავშვო ბაღი.

სოფელში სკოლებისა და სკოლამდელთა დაწესებულებების მშენებლობას დიდ ყურადღებას აქცევს ხელვაჩაურის რაიონის ჩაისუნნების კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი მამია აბაშიძე. წინა წლებში ჩაისუნნელმა კოლმეურნეებმა საკუთარი სახსრებით 3 სკოლა ააშენეს: ყოროლისთავის რვაწლიანი, წინსელის საშუალო და ზედა წინსელის რვაწლიანი სკოლები. მანამდე ჩაისუნნის ცენტრში იყო სკოლის შენობა, მაგრამ იგი ალარ შეესაბამებოდა თანამედროვე მოთხოვნებს. და აი, რამდენიმე წლის წინათ კოლმეურნეობის თავმჯდომარის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მამია აბაშიძის თაოსნობით გადაწყდა 1060 მოსწავლისათვის აშენებულიყო მრავალსართულიანი ნათელი შენობა, შენობის ღირებულებამ 800 ათასი მანეთი შეადგინა. მშენებლობას საძირკველი 1979 წელს ჩაეყარა და იგი წელს უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ. სკოლას ეშენება მეორე კორპუსიც. სპორტული დარბაზის, ხუთსართულიანი კლუბისა და ოთხსართულიანი სასადილოსთვის. ბუნებრივია, ასეთი სკოლის მშენებლობას მთელი სოფელი შეხარის.

— 150 ათას მანეთს ვხარჯავთ ინვენტარის შესაძენად, ახალი შენობა, რა თქმა უნდა, ახალი ინვენტარით უნდა აღვამურვოთ, — თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

ქობულეთის რაიონშიც არის ასევე ეკონომიკურად მძლავრი სოფელი, მასაც ჩაისუბანი ჰქვია. სოფელს ოცდაათ წელზე მეტია სათავეში უდგას საკოლმეურნეო წყობილების ერთ-ერთი ვეტერანი ხასან ყურუბაძე, ჩაისუბანში, ჯერ იყო და, სკოლა-ინტერნატი აშენდა, ახლა საინიციატივო წესით სამსართულიანი სკოლა შენდება 1000 მოსწავლისათვის. სკოლას ეკენება სპორტული დარბაზი, კლუბი, სასადილო, სპორტული მოედანი. შენობა წელს უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ.

ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში საინიციატივო სასკოლო მშენებლობათა საკითხი მეთერთმეტე ხუთწლედში საბოლოოდ უნდა გადაწყდეს. ყველა სოფელს ეკენება სკოლის კაპიტალური ნაგებობა და მეცადინეობა ყველგან ერთიანლიანი გახდება.

წელს აჭარაში 1,5 მილიონ მანეთს ითვისებენ სასკოლო მშენებლობისათვის. პირველი სექტემბრისათვის მზად უნდა იყოს ხელვაჩაურის რაიონის ერგის სამშიერო სკოლა 770 მოსწავლისათვის, რომელსაც აშენებს საერთო მშენებლობის № 5 ტრესტი, და ხულის რაიონის აგარის საშუალო სკოლა, რომელსაც აშენებს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 15 ტრესტი. ერგის სკოლას დამკვიდრებად ეერგის სამშიერო სკოლა ეშენებენ. მეორე სამმართველოს უფროსმა ს. ქათამაძემ დაბეჯითებით თქვა, რომ ახალი სასწავლო წლისათვის სკოლას აუცილებლად გადაესცემენ საექსპლოატაციოდ. აგარის სკოლის მშენებლობაზე მშენებლებს სოფელმაც გაუმართა ხელი, ყველა ცდილობს, პირველ სექტემბრის ბაგშვებმა ახალი სკოლის კარები შეაღონ. აღებული ტემპი თუ არ შენელდა, მშენებლები სიტყვას აკავ უთუოდ საქმით დაამტკიცებენ.

აგარის გარდა, ხულის რაიონში მე-15 ტრესტი აშენებს თხილეანის, წაბლანის, ოქურეშიელების სკოლა-ინტერნატებს. განათლების დარგის მუშაკები მოითხოვენ მშენებლობის ტემპის დაჩქარებას. ობიექტები გაისად უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ. მშენებლები თავისებურ სიძნელეებს აწყდებიან. სოფლები მაღალმთიანია, რთული რელიეფი, გრძელი ზამთარი აფერხებდა საქმეს. მოსახლეობისა და მშენებელთა ერთსულოვნებამ, საერთო მონდომებამ მაინც უნდა გაიმარჯვოს.

სოფლებში ახლა, მართლაც რომ „ცხელი ზაფხულია“, ყველგან გაცხარებული მუშაობაა, ყველგან ჩქარობენ, აქტიურობენ შეფი ორგანიზაციები. ახალი და განახლებული სკოლები, ახალი სასკოლო ინვენტარი და კარგად აღჭურვილი ლაბორატორიები ახალ სიხარულს მოჰგვრის, ბევრად გაუადვილებს სწავლას ათიათასობით მოსწავლეს.

Თ. ᲑᲝᲠᲒᲑᲘᲚᲐᲫᲔ.

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ᲓᲐᲜᲐᲓᲒᲐᲠᲗᲐ ᲞᲐᲠᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡᲣᲠ ᲜᲐᲢᲣᲠᲐᲚᲣᲠ და ხელოვნურ აბრეშუმზე დიდი მოთხოვნაა ჩვენს ქვეყანაში. იგი გამოირჩევა სასიამოვნო ფერებითა და მაღალი ხარისხით.

ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივი ისწრაფვის უფრო სრულად დაკმაყოფილოს ქვეყნელნი მოთხოვნილება. მარტო მიმდინარე წლის ექვს თვეში გამოშვებულია 80 ათას მანეთზე მეტი ღირებულების ზეგეგმითი პროდუქცია. გაერთიანების თორმეტი სახეობის აბრეშუმის ქსოვილს მინაბებული აქვს სახელმწიფოს ხარისხის ნიშანი.

ბოლო დროს საწარმოს საამქროებში დაიდგა 800-ზე მეტი ჩეხოსლოვაკიური საქსოვი დაზგა. ეოძველებული ტექნიკის უახლესი, დიდმწარმოებლური მანქანებით შეცვლა გრძელდება.

სხრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში კარგ მაჩვენებლებს აღწევენ მჭოსკელები დარეკნან ონიანი და ოლეგ ხეცურიანი. ისინი 20-20 დაზგას ემსახურებიან. მათ ანგარიშზეა ასობით მეტრი ზეგეგმითი ქსოვილი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲛᲭᲝᲡᲙᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜ ᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲝᲚᲔᲒ ᲮᲔᲪᲣᲠᲘᲐᲜᲘ.

Გ. ᲑᲔᲠᲐᲫᲘᲡᲐᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ. (ᲡᲐᲥᲘᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

ᲡᲮᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲨᲔᲛᲭᲣᲠᲔᲜᲘ

ᲡᲐᲐᲓᲐᲛᲝ ხნის წინათ ბორჩოს საკოლმეურნეო ბაზარი ჰქონდა. იგი ცნობილი იყო ვაჭარ-მუშტრების სიმრავლით. ზესტაფონიდან ხარაგაულიდან, ზაზრიდან მოდიოდნენ აქ პირუტყვის, ფრინველის, ყველის, თაფლის, ხილის საყიდლად, განსაკუთრებით მთისწინა სოფლების პროდუქტი, რომელიც გემოთიც კარგი იყო და მისაწყდომ ფასებში იყიდებოდა.

ახლა ამ ხეობის სოფლების — უბისის, ღორეშის, მთათაუბნის, ბორითის, ამამეკეთის, საქსარიის, ვაშლევის, კვეტრეკის, ეიოთის, ვერტყვიჭალის, ხუნვეის, ხვეის, დანადაბერის მეხოვრები ყოველ კვირა-პარასკევს შეჰვლებით ზესტაფონისა და ხაზრის ბაზრებში. და თქვენ წარმოიდგინეთ არა გასაყიდი პროდუქტებით დატვირთულებს, არამედ პირიქით—თვითონ ყიდულობენ სურსათ-სანოვაგეს სოფელში წასაღებად.

რატომ გადაიქცა ყოფილი მწარმოებელი მომხმარებლად: აი, ეს არის გასარკვევი. გავკვეთეთ კი არ გაგვიჭირდება, მაგრამ რამ გამოიწვია ყოველივე ეს? მოხდა იმიტომ, რომ ბევრი ოჯახი საკარმიდამოს კარგად ვერ იყენებს, პირუტყვის მოვლა-პატრონობას ხომ ალარ კადრულობს და არა... ზოგ-ზოგგან კი საკარმიდამოში ბოსტანსაც კი ალარა ვნახავ, ფრთნილა და კიტრს ან ბაზარში, ან მაღაზიაში ყიდულობენ, ფამფარაკ-ქარხნების მუშებს ულუფაში ეცილებიან.

აი ასე აღიქვამენ ორჯონიკიძის რაიონის ხელმძღვანელები სურსათის საუხვის შექმნისათვის გადასაჭრელი პრობლემების საერთო ჯაჭვის ხელმოსაკიდებელ პირველ რგოლს. პარტიის რაიკომის ბიუროს წევრები მოეთათბირნენ სპეციალისტებს, კარგ მეურნეებს, შეაჯერეს მათი მოსაზრებანი და საცხოვრებელი უბნების მიხედვით მოაწ

